ნეკროლოგი

ჟურნალ „სოციალური-ეკონომიკა XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები”-ის რედკოლეგია ღრმა მწუხარებით იუწყება გამოჩენილი მეცნიერის, პროფესორ **ალფრედ კურატაშვილის** გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს

ძნელია დღეს განსაკუთრებული ნიჭის და შემართების მქონე ჭეშმარიტ მეცნიერ-მკვლევარზე, ბატონ ალფრედ კურატაშვილზე წარსულში ილაპარაკო და მისი ნაფიქრი, განცდილი და შექმნილი ობიექტურად შეაფასო.

ალფრედ კურატაშვილი დაიბადა ქალაქ თელავში 1941 წლის 15 ნოემბერს, 1960 წელს დაამთავრა თბილისის 91-ე საშუალო სკოლა, 1966 წელს ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი, ხოლო 1973 წელს ლენინგრადის ვაჭრობის ინსტიტუტის ასპირანტურა და იმავე წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1978 წელს მას მიენიჭა დოცენტის წოდება.

1972 წლის სექტემბრიდან 1992 წლის თებერვლამდე ბატონი ალფრედ კურატაშვილი მუშაობდა თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, სადაც 1986 წლიდან 1992 წლამდე საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის გამგის თანამდებობა ეკავა.

1992 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ბატონი ალფრედ კურატაშვილი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჯერ პაატა გუგეშვილის სახელმობის ეკონომიკის ინსტიტუტის, ხოლო 2011 წლიდან ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ეკონომიკური თეორიის განყოფილების გამგე და შემდგომ მთავარი მეცნიერ თანამშრომელი.

ბატონი ალფრედ კურატაშვილი, 1992 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო სადისერტაციო საბჭოს წევრი, ხოლო 2017 წლიდან სადისრეტაციო საბჭოს თავმჯდომარე. 2013 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე, იგი მუშაობდა საქართველოს ტექნიკური უნივერისტეტის სამართლის და საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტის პროფესორის თანამდებობაზე.

სხვადასხვა დროს პროფესორი ალფრედ კურატაშვილი მუშაობდა თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელმობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

1996 წლიდან პროფესორ ალფრედ კურატაშვილს ეკავა სოციალურ-ეკონომიკურ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის პრეზიდენტის თანამდებობა.

1991-2010 წლებში პროფესორი ალფრედ კურატაშვილი იყო თბილისის ბიზნესის და სოციალურ-ეკონომიკური მართვის უნივერსიტეტის რექტორი, ამავე უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

პროფესორი ალფრედ კურატაშვილი იყო მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული მეცნიერი, მას მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი ჰქონდა დაცული ეკონომიკაში, სამართალში და ფილოსოფიაში.

ბატონი ალფრედ კურატაშვილს გამოქვეყნებული აქვს 500-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 20-ზე მეტი მონოგრაფია, მონაწილეობა აქვს მიღებული 276 სამეცნიერო კონფერენციაში, მათ შორის 156 შრომა გამოქვეყნებული აქვს საზღვარგარეთის 8 ქვეყანაში (ამერიკის შეერთებულ შტატებში, რუსეთში, უკრაინაში, პოლონეთში, ლატვიაში, აზერბაიჯანში, სომხეთში და ა.შ.). მათ შორის 10-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი გამოქვეყნებული აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ბატონი ალფრედი იყო 20-ზე მეტი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის წევრი, მრავალი საერთაშორისო კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე და საორგანიზაციო კომიტეტის წევრი.

ბატონი ალფრედი იყო მრავალი საერთშორისო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ნიუიორკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, სანკტ-პეტერბურგის (რუსეთი) კულტურის ისტორიის საზოგადოებრივი აკადებიის ნამდვილი წევრი, მისი ხელმძღვანელობით 22-მა დოქტორანტმა დაიცვა დისერთაცია და მოიპოვა დოქტორის ხარისხი.

ბატონი ალფრედი დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

ალფრედ კურატაშვილი ყოველთვის იყო უკომპრომისობისა და პრინციპულობის ეტალონი, ამოუწურავი ენერგიის მატარებელი, სათნო ადამიანი, მეგობრობაში გამორჩეული, ზედმიწევნით პრინციპული და სამართლიანი. ასეთი თვისებებით დაჯილდოებული ადამიანები არცთუ ისე მრავლადაა დღევანდელ სინამდვილეში, ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. მრავალფეროვანი იყო მისი მეცნიერული ინტერესების სფერო. მისი კვლევის დახვეწილი უნარი მთელი სისრულით გამოჩნდა სამართალმცოდნეობის სფეროშიც. აქაც, საკუთარი მეცნიერული ხედვითა და მასშტაბური აზროვნებით თავისი კუთვნილი ადგილი დაიმკვიდრა. პროფესორ ალფრედ კურატაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა მისი გონიერების წყალობით უაღრესად აქტიური და მრავალფეროვანი იყო. ძნელია, შეეგუო ასეთი მეცნიერის, პიროვნების, ოჯახის წინამძღოლის, მეგობრისა და უანგარო ადამიანის, ალფრედ კურატაშვილის უდროოდ განრიდებას ამ წუთისოფლიდან. პროფესორი ალფრედ კურატაშვილი დარჩება, როგორც ღრმად მოაზროვნე ჭეშმარიტი მეცნიერ-მკვლევარი, ბრწყინვალე მეგობარი, სანიმუშო მეოჯახე და ახალგაზრდობის ღირსეული აღმზრდელი.

ვახტანგ დათაშვილი, პარმენ ლემონჯავა, ირმა ბარათაშვილი, ალეკო ქუთათელაძე, ჯემალ გახოკიძე, ქეთევან ქოქრაშვილი, გივი აბაშიძე, ანზორ აბრალავა, ნანა ასლამაზაშვილი, ევგენი ბარათაშვილი, მურმან ბლიაძე, ბადრი გეჩბაია, აკაკი გვარუციძე, რევაზ გოგოხია, შოთა ვეშაპიძე, ცისკარა ზარანდია, გენადი იაშვილი, რევაზ კაკულია, პაატა კოღუაშვილი, ნინო ლაზვიაშვილი, ლელა ბახტაძე, გიორგი მალაშხია, გიორგი ნანუაშვილი, რამაზ ოთინაშვილი, ავთანდილ სილაგაძე, მარინა ტაბატაძე, გოდერძი ტყეშელაშვილი, რამაზ ფუტკარაძე, ლამარა ქოქიური, რუსუდან ქუთათელაძე, ვლადიმერ ღლონტი, კარლო ღურწკაია, რეზო შენგელია, გიორგი ცაავა, ნიკოლოზ ჩიხლაძე, დემურ ჩომახიძე, მიხეილ ჯიბუტი, გურამ ჯოლია, ნოდარ ჭითანავა, ირაკლი გაბისონია, მურმან კვარაცხელია, მზია მილაშვილი, გოჩა მიქიაშვილი, ვალერი მჭედლიშვილი, თინათინ ჩიგოგიძე, მაია ცინცაძე, ვალერი სელივანოვი, გიგი თაქთაქიშვილი, პეტრ ლეონენკო, ვალერი ბაკუმენკო, ანდრიას ბრანტი, ჰარალდ ვერტცი, რუდიგერ ანდრეზენი.

სოციალური ეკონომიკა

XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები

(მეოთხე ნომრის დამატება)

ლექციების კურსი